



მოწვევა

ტრადიციული მრავალხმიანობის მეცხრე საერთაშორისო სიმპოზიუმი

30 ოქტომბერი - 3 ნოემბერი 2018, თბილისი, საქართველო

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრი და ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი მრავალხმიანობის პრობლემატიკაზე მომუშავე მეცნიერებს იწვევს ტრადიციული მრავალხმიანობის მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც ჩატარდება 2018 წლის 30 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით.

სიმპოზიუმის თემატიკა მრავალფეროვანია, რაც ეთნომუსიკოლოგიის ინტერდისციპლინარული ბუნებითაა განპირობებული.

სიმპოზიუმის სამუშაო ენებია ქართული და ინგლისური. წარმოდგენილი ყველა მოხსენება შემდგომ გამოიცემა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე.

სრული ინფორმაცია (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის შესახებ, წინა სიმპოზიუმების ისტორია, ინფორმაცია მონაწილეებზე, სიმპოზიუმის მასალების ორენოვანი გამოცემა მოხსენებების სრული ტექსტით) ხელმისაწვდომია [ელექტრონულ მისამართზე](#).

სიმპოზიუმის თემები:

მონაწილეებს შეუძლიათ წარმოადგინონ თეზისები ტრადიციული მრავალხმიანობის ყველა ასპექტზე. თემები დაჯგუფდება მათში განხილული პრობლემების მიხედვით და წარმოდგენილი იქნება შესაბამის სამეცნიერო სესიაზე, რაც მრავალხმიანობის საკითხების ფართო სპექტრის განხილვის საშუალებას იძლევა.



ტრადიციულ თემებთან ერთად მე-9 სიმპოზიუმზე გვსურს შემოგთავაზოთ ერთი ახალი თემა:

მრავალხმიანობა ისტორიულ პერსპექტივაში: სტაბილურობისა და ცვალებადობის დინამიკა მრავალხმიან კულტურებში

ზეპირი გზით გადაცემული ნებისმიერი კულტურული ფენომენის მსგავსად, ტრადიციული მრავალხმიანი კულტურა ცვალებადობის მუდმივ და რთულ პროცესს გადის. ჩვენ ვაპირებთ განვიხილოთ ამ ცვლილებების მრავალი ასპექტი, ერთი და იმავე მომდერლის მიერ ერთი სიმდერის შესრულებისას გამოვლენილი მცირედი ცვლილებებით დაწყებული, მრავალხმიანი ტრადიციების ხანგრძლივი ცვლილებებით დამთავრებული, რომლებიც ვლინდება მიგრაციის ან სხვა ტრადიციებთან შეჯახების დროს. შეგვიძლია განვსაზღვროთ რა არის სტაბილური და რა მოხილური? ჩვენს ისტორიულ ცოდნაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ მრავალხმიანი ტრადიციების სამომავლო განვითარება? ეს თემა ისტორიული მუსიკოლოგიისა და მრავალხმიანი ტრადიციების მუსიკალური ენის ელემენტების ანალიზის გადაკვეთაზეა განთავსებული.

სიმპოზიუმის ტრადიციული თემები:

1. მრავალხმიანობის ზოგადი თეორია და მუსიკალურ-ესთეტიკური ასპექტები:

აქ გაერთიანებულია თანამედროვე კულტურული ანთროპოლოგიისათვის დამახასიათებელი მრავალხმიანობის ზოგადი საკითხების ფართო სპექტრი.

2. ტრადიციული მრავალხმიანობის რეგიონალური სტილები და მუსიკალური ენა:

ეს თემა მოიცავს როგორც დიდი, ისე პატარა რეგიონების, ეთნიკური უმცირესობების, მხოლოდ ერთი სოფლის მრავალხმიანი სასიმღერო სტილების სირღმისეულ კვლევებს.

3. ტრადიციული მრავალხმიანობის შედარებითი კვლევა:

ტრადიციული მრავალხმიანობის ფენომენის გაგება შეუძლებელია შედარებითი მიდგომის გარეშე. მკვლევრებს ჩვენ ვთავაზობთ კვლევის ახალი მეთოდოლოგიების შემუშავებას.



4. ტრადიციული მრავალხმიანობის სოციოლოგიური ასპექტები: შემსრულებლები და მსმენელები; სქესი, ასაკი, იდენტობა, სოციალური მდგომარეობა და მედია:

ამ თემასი გაერთიანებულია ტრადიციული საზოგადოების სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი. პრობლემები განხილულია როგორც თანამედროვე ცხოვრების, ისე ისტორიულ პერსპექტივაში.

5. მრავალხმიანობა საერო და სასულიერო მუსიკაში:

აქ მოიაზრება ტრადიციული მრავალხმიანობისა და პროფესიული მრავალხმიანობის ადრეულ ფორმების ურთიერთქმედება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა ასევე მისაღებია თემები სხვა რეგიონებსა და ეპოქებზე.

6. ტრადიციული ინსტრუმენტული მრავალხმიანობა:

მიუხედავდ იმისა, რომ სიმპოზიუმის ძირითადი თემა არის ვოკალური მრავალხმიანობა, აქ შეიძლება განხილული იყოს ვოკალური და ინსტრუმენტული მრავალხმიანობის ურთიერთქმედების სხვადასხვა ასპექტი.

7. ტრადიციული მრავალხმიანობა და ტრადიციული ცეკვა:

მრავალ კულტურაში სიმღერა და ცეკვა მჭიდროდაა დაკავშირებული. ცეკვა განსაკუთრებულად ახლოსაა გარკვეულ საცეკვაო ფორმებთან (მაგ. ფერხული), ისინი გავლენას ახდენენ ერთმანეთის რიტმსა და ემოციურ განვითარებაზე.

8. პოლიფონია და მონოფონია: არის თუ არა საზღვარი მათ შორის?

მოდით, ვიმსჯელოთ, რას ვგულისხმობთ ტერმინებში „პოლიფონია“ და „მონოფონია“. პოლიფონიაა თუ მონოფონია უნისონური ან ჰეტეროფონური, ან ობერტონული სიმღერა? არსებობს თუ არა მსოფლიოში „წმინდად პოლიფონიური“ ან „წმინდად მონოფონიური“ კულტურები?

9. პოლიფონიის ისტორიული წყაროები:

შუმერული და ხურიტული ჰიმნებიდან შუა საუკუნეების ევროპულ ხელნაწერებამდე და შემდგომ, პოლიფონია წარმოდგენილია სხვადასხვა ეპოქისა და რეგიონის მუსიკაზე არსებული წყაროების მნიშვნელოვან ნაწილში. რას გვამცნობენ ეს წყაროები?

10. ტრადიციული მრავალხმიანობა და პოპულარული მუსიკის ჟანრები:

განვიხილავთ „გრძელ და მიხვეულ-მოხვეულ გზას“ პოლიფონიური სიმღერის ტრადიციული ფორმებიდან თანამედროვე „გაევროპულებულ“ ქალაქურ პოლიფონიურ სასიმღერო ტრადიციებამდე, ასევე, პოლიფონიას პოპ- და როკ-მუსიკაში.



11. არის თუ არა პოლიფონია მხოლოდ ადამიანური მოვლენა? დუეტური და გუნდური მღერა ცხოველთა საზოგადოებებში:

ცხოველთა ზოგიერთი სახეობა (ვეშაპებიდან და მაიმუნებიდან ფრინველებამდე) თავის სოციალურ ცხოვრებაში იყენებს დუეტში და გუნდური სიმღერის საინტერესო ფორმებს. შეიძლება თუ არა ცხოველთა დუეტებისა და გუნდების შესწავლის გზით შევქმნათ ევოლუციური მოდელი ადამიანური მრავალხმიანობის წარმოშობის გასაგებად?

12. მსოფლიო მუსიკა და ტრადიციული მრავალხმიანობა:

„მსოფლიო მუსიკა“ გამოხატავს მისწრაფებას სხვადასხვა კულტურის ჰარმონიზაციისკენ, „გლობალური სოფლის“ იდეა ადასტურებს მუსიკის უნივერსალურ ბუნებას. ტრადიციულ მუსიკას სწავლობენ ადგილზე, ტრადიციულ მომღერლებს სხვადასხვა ქვეყანაში იწვევენ სიმღერის მასწავლებლებად. რას ვიძენთ ან ვკარგავთ ამ პროცესში?

მრგვალი მაგიდა: „მრავალხმიანობა და მთები“

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ მსოფლიოს მრავალხმიანი კულტურები მთიან რეგიონებში გვხვდება. ფაქტობრივად, ყველა მთიანი ზონა (ალპები, ბალკანები, პირენეები, კავკასია, ჰიმალაები, ანდები) მრავალხმიანი ტრადიციების მასპინძელია. ეს საინტერესო ფაქტი მრავალ დამაინტრიგებელ და ურთიერთდაკავშირებულ კითხვას იწვევს: არსებობს თუ არა გამაერთიანებელი ნიშნები მთიანი რეგიონების ხალხების ვოკალურ პოლიფონიაში? არის თუ არა მთები ვოკალური მრავალხმიანობის წარმოშობის ან მისი გეოგრაფიულ იზოლაციაში გადარჩენის ფაქტორი? ხელს უწყობს თუ არა მთიანი ხალხების მიგრაცია მრავალხმიანობის გავრცელებას სხვა, არამთიან რეგიონებში? ამ და სხვა მრავალი სამეცნიერო კითხვის განხილვას შედარებითი პერსპექტივა სჭირდება, მაგრამ მრგვალი მაგიდა ასევე გახსნილია მთიელი ხალხების მრავალხმიანობისადმი არაშედარებითი მიდგომებისათვის, სხვადასხვა მთიელი ხალხის შემთხვევების სოციალური, კულტურული, ანთროპოლოგიური და სხვა შეხედულებების პერსპექტივიდან განხილვისათვის.

წინადადებები

საპროგრამო კომიტეტი გთავაზობთ მოგვაწოდოთ ინდივიდუალური, საპანელო, სასტენდო ან მრგვალი მაგიდის სხდომაზე წარმოსადგენი თემები:

- ინდივიდუალური მოხსენებისთვის განკუთვნილია 20 წუთი, დამატებით 10 წუთი



შეკითხვებისა და კამათისათვის;

- საპანელო მოხსენება უნდა მოიცავდეს 2 ან 3 მოხსენებას, თითოეული 20 წუთის ხანგრძლივობით, და დამატებით 10 წუთს კამათისათვის;
- სასტენდო მოხსენებისთვის გამოყოფილია 10 წუთი *Power Point* ფორმატში და 5 წუთი დისკუსიისათვის. სასტენდო მომხსენებლებს გთხოვთ კონფერენციაზე მოიტანოთ შემდეგი ფორმატის პოსტერი: 80 სმ სიგანეში x 100 სმ სიმაღლეში.
- მრგვალი მაგიდის დაახლოებით ორსაათიან სესიაში მონაწილეობს არა უმეტეს 4 მომხსენებლისა (თითოეული 10 წუთიანი რეგლამენტით). აუდიტორიას მოვუწოდებთ კამათში მონაწილეობისკენ.

თეზისები, მოკლე ბიოგრაფია და სრული მოხსენებები

თეზისები და მოკლე ბიოგრაფია - ორივე ტექსტი არა უმეტეს 150 სიტყვისა (ორივე ელექტრონული რეგისტრაციის ფორმაში უნდა იყოს ჩასმული)

მოხსენებების სრული ტექსტი: არა უმეტეს 7 გვერდისა, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5.

ელექტრონული რეგისტრაცია

ელექტრონული რეგისტრაცია (სახელი, გვარი, ქვეყანა, ორგანიზაცია, თანამდებობა, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მოხსენების სათაური, თეზისები და მოკლე ბიოგრაფია) სავალდებულოა სიმპოზიუმის ყველა მონაწილისათვის.

ვადები

ელექტრონული რეგისტრაციის ბოლო ვადა: 2018 წლის 15 მაისი

თემის მიღების დადასტურება: 2018 წლის 1 ივნისი

მოხსენებების სრული ტექსტის მოწოდების ბოლო ვადა, თარგმნისთვის საჭირო დროის

გათვალისწინებით: 2018 წლის 1 აგვისტო

სარეგისტრაციო თანხა

მეცნიერებისთვის - 80 აშშ დოლარი

სტუდენტებისთვის - 30 აშშ დოლარი

დაბინავება, ტრანსპორტირება, კულტურული პროგრამა



დაბინავების, ტრანსპორტირების (თბილისის საერთაშორისო აეროპორტი – სასტუმრო – თბილისის საერთაშორისო აეროპორტი), კულტურული პროგრამისა და ვორქშოპების ხარჯებს დაფარავს სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტი.

სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტს მონაწილეებისთვის დაგეგმილი აქვს ერთდღიანი კულტურული პროგრამა. პროგრამაში შედის საქართველოს რომელიმე რეგიონის მონახულება.

თბილისის საერთაშორისო სიმპოზიუმი არის არა მარტო სამეცნიერო ფორუმი ხალხური მრავალხმიანი სიმღერის საკითხებზე, არამედ მასზე წარმოდგენილია ქართული და სხვა ქვეყნების ხალხური მუსიკის ფართო სპექტრი. ველით, რომ სიმპოზიუმზე, როგორც ყოველთვის, მსოფლიო მრავალხმიანობა წარმოდგენილი იქნება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ანსამბლების მიერ.

საპროგრამო კომიტეტი

დოქტ. რუსუდან წურწუშია (საქართველო)

დოქტ. იოსებ ჟორდანიძე (ავსტრალია/საქართველო)

დოქტ. იზალი ზემცოვსკი (აშშ/რუსეთი)

დოქტ. ნინო მახარაძე (საქართველო)

დოქტ. ნინო ციციშვილი (ავსტრალია/საქართველო)

დოქტ. დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენე (ლიტვა)

ამინდი საქართველოში

ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების მსგავსად საქართველოში ზომიერი ჰავაა. ტემპერატურის ცვალებადობა ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში +10C-დან +15C-მდეა.

სიმპოზიუმის შემდგომი მოგზაურობა საქართველოს რეგიონებში

წინა სიმპოზიუმების დროს დამკვიდრდა ახალი არაფორმალური ტრადიცია.

ქართული ხალხური სიმღერის უცხოელი შემსრულებლებისა და მეცნიერების ჯგუფი სტუმრობს საქართველოს რეგიონებს. რამდენიმე დღის განმავლობაში ისინი ცხოვრობენ ტრადიციული მომღერლების ოჯახებში, სწავლობენ მრავალხმიან სიმღერებს, ათვალიერებენ ღირშესანიშნაობებს. 2016 წელს მოგზაურობა გაიზარდა და 11-დღიანი მოგზაურობა მოიცავდა სვანეთსა და სამეგრელოს.ს გადაწყდა, რომ 2018 წელს კიდევ უფრო ხანგრძლივი (17 დღიანი) მოგზაურობა მოეწყოს. სვანეთისა და სამეგრელოს გარდა ვესტუმრებით აჭარასაც. გაითვალისწინეთ, რომ ამჯერად მოგზაურობა განხორციელდება



სიმპოზიუმის შემდეგ (და არა სიმპოზიუმამდე).

თუ გაქვთ დრო და გსურთ შეურთდეთ ამ სიმპოზიუმის შემდგომ მოგზაურობას, შეგვატყობინეთ თქვენი ინტერესის შესახებ (უმჯობესია წინასწარ, თუმცა თქვენი გეგმების დაზუსტება ბოლო თვეებშიც შეგიზღოთ, სიმპოზიუმამდე). ჩვეულებრივ, გვყავს 25-35 მონაწილე.

თარიღები: ჯგუფი თბილისიდან გაემგზავრება 5 ნოემბერს დილით ადრე და თბილისში დაბრუნდება 22 ნოემბერს საღამოს. შეზღუდული დროის მქონე მონაწილეებს შეუძლიათ მოგვიანებით შეურთდნენ მოგზაურობას ან ადრე დატოვონ ის.

გადასახადი: მთელი 17 დღიანი მოგზაურობის ღირებულება შეადგენს 850 აშშ დოლარს ერთ ადამიანზე. ამ თანხაში შედის ყველაფერი: ტრანსპორტირება, დაბინავება, კვება, ვორქშოპები ტრადიციულ მომღერლებთან, მცინვარებისა და მუზეუმების მონახულება). ის ვისაც, ნაკლები დროით შეურთდება მოგზაურობას, გადაიხდის დღეების რაოდენობის მიხედვით (დღეში 50 აშშ დოლარი ერთი ადამიანზე).

რა უნდა წამოიღოთ: კომფორტული ფეხსაცმელი და თბილი ტანსაცმელი. სვანეთში მოსალოდნელია თოვლი და სუსტი ყინვა. არ დაგჭირდებათ საძილე ტომრები, რადგან იცხოვრებთ სველი წერტილებით აღჭურვილ სახლებში.

ვის უნდა დაუკავშირდეთ: თუ დაინტერესებული ხართ შეურთდეთ სიმპოზიუმის შემდგომ მოგზაურობას საქართველოს სამ რეგიონში, დაუკავშირდით იოსებ ჟორდანას (ქვემოთ იხ. მისი ელ-ფოსტა).

საკონტაქტო ინფორმაცია სიმპოზიუმის მონაწილეებისათვის

პროფ. რუსუდან წურწუმია, ელ.ფოსტა: polyphony@conservatoire.edu.ge

დოქტორი იოსებ ჟორდანია, ელ ფოსტა: josephjordan@yahoo.com.au